

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები


1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. ძირითადი საშუალებები.....	12
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	13
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები.....	13
7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.....	14
8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.....	14
9. შემოსავლები.....	14
10. სხვა შემოსავალი.....	14
11. თვითღირებულება.....	15
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
13. ფინანსური ხარჯები.....	16
14. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	16

შ.პ.ს ჯეოინვესტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ციფრები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	31-დეკ- 2018	31-დეკ- 2017	31-დეკ- 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	5,790,304	2,422,624	1,517,480
არამატერიალური აქტივები		3,381	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,793,685	2,422,624	1,517,480
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	147,284	31,678	2,533
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	678,283	672,802	494,194
გაცემული სესხები		-	-	31,000
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი	7	35,741	320,929	5,340
სულ მიმდინარე აქტივები		861,308	1,025,409	533,067
სულ აქტივები		6,654,993	3,448,033	2,050,547
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		5,020,818	3,139,902	1,768,891
რეზერვები		329,673	-	-
სულ კაპიტალი		5,350,491	3,139,902	1,768,891
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	-	-
ფინანსური იჯარა		320,748	117,772	115,883
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		320,748	117,772	115,883
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები		20,000	-	8,600
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	8	927,784	56,552	86,801
ფინანსური იჯარის მიმდინარე წილი		160,374	58,886	57,941
საგადასახდო ვალდებულებები		-124,404	74,921	12,431
სულ მიმდინარე ვალდებულებები		983,754	190,359	165,773
სულ ვალდებულებები		1,304,502	308,131	281,656
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,654,993	3,448,033	2,050,547



შ.პ.ს ჯეოინვესტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
შემოსავალი	9	4, 679, 556	3, 522, 751
თვითღირებულება	11	-2, 528, 114	-1, 759, 156
საერთო მოგება		2, 151, 442	1, 763, 595
სხვა შემოსავალი	10	171, 434	67, 041
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	-343, 389	-232, 004
ფინანსურ ხარჯი	13	-98, 571	-51, 109
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-81, 307	-
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		1, 880, 916	1, 547, 523
მოგების გადასახადი		-	-19 881
წლის მოგება		1, 880, 916	1, 527, 642
სხვა სრული შემოსავალი		329, 673	
წლის სრული მოგება		2, 210, 589	1, 527, 642



შ.პ.ს ჯეოინვესტი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ციფრები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	-	1, 768, 891	1, 768, 891
წლის მოგება		1, 527, 642	1, 527, 642
სხვა სრული შემოსავალი		1, 527, 642	1, 527, 642
კაპიტალის ზრდა	-	-	-
დივიდენდი		-156, 631	-156, 631
2017 წლის 31 დეკემბერი	-	3, 139, 902	3, 139, 902
წლის მოგება		1, 880, 916	1, 880, 916
რეზერვები და დაფინანსება		329, 673	329, 673
სულ სრული შემოსავალი	-	2, 210, 589	2, 210, 589
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-		-
დივიდენდი		-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	2, 210, 589	5, 350, 491



შ.პ.ს

ჯეოინვესტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ციფრები მოცემულია ლარში

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	167, 610	780, 749
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-380, 521	-425, 195
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-72, 277	-39, 965
წმინდა ზრდა/კლება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	-285, 188	315, 589
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	-
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში	320, 929	5, 340
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს	35, 741	320, 929



შ.პ.ს „ჯეოინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ჯეოინვესტი“ (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 15 მარტს და ფუნქციონირებს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საიდენტიფიკაციო ნომრით: 401968466. კომპანია დაფუძნებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის დამფუძნებელი არის ბატონი გიორგი კუხალაშვილი (100% წილის მფლობელი), რომელიც ასევე ჩართულია კომპანიის მართვაში.

საქმიანობის სფერო: კომპანია დაარსების დღიდან ეწევა საგზაო და სამშენებლო სპეც ტექნიკის იჯარას, მომსახურებას. ნებისმიერი სირთულის მიწისა და კლდის გრუნტის დამუშავებას, ექსკავაციას. კომპანია 2017 წლიდან აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, მშენებლობის პროექტებში.

2018 წლის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 80 თანამშრომელს.

კომპანიის ფაქტიურ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ბელიაშვილის 142.

2. მომზადების საფუძველი.

შპს „ჯეოინვესტის“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების, საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, გამოყენება. აღნიშნული მოთხოვნების თანახმად კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში უნდა მოახდინოს მათი სწორი შეფასება. ქვემოთ მოყვანილ შენიშვნებში მოცემულია ის სფეროები, რომლებიც შედარებით მაღალი ხარისხის სირთულით და გადაწყვეტილებებით ხასიათდებიან, რომლებშიც გაკეთებული დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯი.

2018 წლის 31 დეკემბერს, უცხოური ვალუტის ბალანსის გადასაყვანად დადგენილი კურსი შეადგენდა: 1 აშშ დოლარი = 2,6689 ლარი. 1 ევრო = 3,0701 ლარი .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი შედგება ნაღდი ფულისაგან, მოთხოვნამდე დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალი ლიკვიდობის მეორე ინვესტიციებისაგან, დაფარვის სამთვიანი ან ნაკლები პირველადი თარიღით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო დებიტორული ვალდებულებების აღიარება ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ლარი),

საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, თვითღირებულებას დამატებული აქტივის ოპერირებისათვის საჭირო ადგილამდე და სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯები. ძირითადი საშუალებების ძირითადი მაკომპლექტებელი ნაწილების შეცვლის ხარჯის აღრიცხვა ხდება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში ჩართვით, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. ხოლო შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღრიცხვა წყდება. აქტივების მიმდინარე რემონტის და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით, შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა :

- | | |
|---|-----------|
| • სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები | 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 3-10 წელი |
| • საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი | 3-5 წელი |

აქტივის ნარჩენი ღირებულება შეფასებულია თანხით, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი უკვე იქნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის მოსალოდნელ ასაკსა და მდგომარეობაში. აქტივების ღირებულება, ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადები

გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო სხვაობა აღიარდება მოგება ზარალში თუ არ არსებობს ამ აქტივის შედეგად წარმოქმნილი გადაფასების რეზერვი.

არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება.

იჯარა.

იჯარა - ფინანსური იჯარა კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. იჯარით მიღებული აქტივის კაპიტალიზება ხდება ძირითად საშუალებებში იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და ფასდება იჯარით მიღებული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მიმდინარე მინიმალური საიჯარო ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები გარდა სამომავლო ფინანსური ვალდებულებისა შედის შესაბამის გრძელვადიან და მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებში. იჯარის მოქმედების პერიოდში, პროცენტის დაფარვაზე გაწეული ხარჯების ასახვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში როდესაც გარიგების შედეგად მიიღება საოპერაციო იჯარა და გარიგება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, დაუყოვნებლივ ხდება ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღრიცხვა აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა-აქტივის იჯარა, რომელთა მიმართებაში მფლობელობის რისკები და სარგებელი მეიჯარის ხელშია კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღრიცხვა მოგებაში ან ზარალში ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხები.

სესხის საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, გარიგებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება მსგავსი ინსტრუმენტისათვის არსებული მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საწყისი აღიარების თანხასა და მოგება ზარალის ანგარიშგებაში პროცენტის დასაფარად აღიარებულ თანხას შორის ნებისმიერი განსხვავებით. სესხი კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი სავაჭრო მოგების, ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ამავე დროს მომხმარებელი იღებს მათ საკუთარ თავზე.

სამშენებლო კონტრაქტებით მიღებული შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ოპერაციის დასრულების ეტაპისათვის მისი საიმედო შეფასება. შემოსავლები აღიარებულია საანგარიშებო პერიოდში, რომლის დროსაც მომსახურების გაწევა ხდება პროცენტული შესრულების მაჩვენებლის შესაბამისად. კონტრაქტით მიღებული მოგება და კონტრაქტით გაწეული ხარჯები აღიარებულია, როგორც მოგება და ხარჯი კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის დასრულების ეტაპზე, საანგარიშო თარიღისათვის, როდესაც შესაძლებელია კონტრაქტის შედეგის საიმედო განსაზღვრა. საანგარიშო თარიღამდე გაწეული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კონტრაქტით გათვალისწინებულ სამომავლო საქმიანობასთან, შესრულების ეტაპის განსაზღვრისას. ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გარიგებით ან კონტრაქტით გათვალისწინებულ სამომავლო საქმიანობასთან წარმოდგენილია, როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ავანსი ან სხვა აქტივები, გამომდინარე მათი ბუნებიდან.

ანარიცხები.

ანარიცხების აღრიცხვა ხდება, მაშინ როდესაც კომპანიას წარსული სამეურნეო ოპერაციების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული ან სამშენებლო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება, ვალდებულების დასაფარად. ასევე შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხები განისაზღვრება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის ოდენობით.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე და შეადგენს ნულ ლარს.

სახელფასო ხარჯები და სხვა შენატანები.

ხელფასები, საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება, ბონუსები და სხვა შეღავათები დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლების მიერ მოხდა შესაბამისი მომსახურების გაწევა.

საგადასახადო ვალდებულებები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების დივიდენდის სახით განაწილება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგებიდან განაწილებული დივიდენდები ექვემდებარება გაერთიანებული მოგების გადასახადს, რომელიც შემცირდება გადახდილი მოგების გადასახადის წილის სახით დაანგარიშებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომლის დეკლარირება და გადახდა მოხდა დასაბეგრ მოგებაზე და იმავე პერიოდში გადასანაწილებელ დივიდენდებზე გამრავლებულ საერთო წმინდა მოგებაზე. ამავე დროს საგადასახადო კრედიტის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოდ დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდების განაწილების შედეგად დაკისრებული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც დივიდენდების დეკლარირების პერიოდში მოგების გადასახადზე გაწეული ხარჯები. ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან შესაძლებელია დივიდენდების გადახდის პერიოდის მიხედვით. გამომდინარე აქედან კომპანიამ შეწყვიტა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება. შესაბამისი მოქმედებები აღრიცხა 2016 წლის მოგება-ზარალის ნგარიშგებაში.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ დივიდენდის გამოცხადებაზე არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე კვლავ იბეგრება არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები და სხვა გადახდები, საქონლის და მომსახურების უფასო მიწოდება, წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება სსკ კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობას.

დივიდენდის განაწილება.

კომპანიის მფლობელისთვის დივიდენდის განაწილება კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში აღირიცხება, როგორც ვალდებულება კომპანიის მფლობელის მიერ დივიდენდების დამტკიცების პერიოდისთვის. ამ ეტაპზე დივიდენდის გადახდაზე კომპანიას რაიმე შეზღუდვა არ გააჩნია.

შ.პ.ს „ჯეოინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

4 ძირითადი საშუალებები.

	პერსონალური საიტი	სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
თვითღირებულება 2017 წლის					
1 იანვრის მდგომარეობით	-	1, 886, 128	19, 471	6, 852	1, 912, 451
შემოსვლა	-	1, 788, 838	22, 926	19, 660	1, 831, 424
გასვლა	-	-552, 076		-2, 540	-554, 616
თვითღირებულება 2017 წლის					
31 დეკემბრის					
მდგომარეობით	-	3, 122, 890	42, 397	23, 972	3, 189, 259
დაგროვილი ცვეთა და					
გაუფასურება					
1 იანვარი 2017 წელი		389, 376	3, 793	1, 799	394, 968
წლიური ცვეთა		411, 377	5, 042	3, 244	419, 663
გასული აქტივების					
დაგროვილი ცვეთა		-45, 951	-	-2, 045	-47, 996
31 დეკემბერი 2017 წელი	-	754, 802	8, 835	2, 998	766, 635
საბალანსო					
ღირებულება					
31 დეკემბერი 2017 წელი	-	2, 368, 088	33, 562	20, 974	2, 422, 624
თვითღირებულება 2018 წლის					
1 იანვრის მდგომარეობით	-	3, 122, 890	42, 397	23, 972	3, 189, 259
შემოსვლა	3, 550	4, 551, 378	139, 176	39, 808	4, 730, 362
გასვლა	-	-995, 065	-	-	-995, 065
თვითღირებულება 2018 წლის					
31 დეკემბრის					
მდგომარეობით	3, 550	6, 679, 203	181, 573	63, 780	6, 924, 556
დაგროვილი ცვეთა და					
გაუფასურება					
1 იანვარი 2018 წელი	-	754, 802	8, 835	2, 998	766, 635
წლიური ცვეთა	169	638, 700	12, 008	10, 798	661, 506
გაუფასურება	-	108, 554	-	-	108, 554
გადაფასების ნამეტი	-	-329, 673	-	-	-329, 673
გასული აქტივები დაგროვილი					
ცვეთა	-	-76, 151	-	-	-76, 151
31 დეკემბერი 2018 წელი	169	1, 096, 232	20, 843	13, 796	1, 130, 871
საბალანსო					
ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 წელი	3, 381	5, 582, 971	160, 730	49, 984	5, 793, 685

2018 წლის დასაწყისიდან კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივ ბაზარზე შეესყიდა უახლესი ტექნიკა (სამშენებლო მანქანა-დანადგარები) საქართველოში რეგისტრირებული ტექნიკის მიმწოდებლებისგან. შესყიდული ტექნიკის ნაწილი დაფინანსდა სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგ“-თან გაფორმებული ფინანსური იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე მოხდა მეორადი და ამორტიზებული სამშენებლო მანქანა-დანადგარების გაყიდვა. 2018 წელს კომპანიამ გადააფასა სამშენებლო მანქანა-დანადგარების ჯგუფი, მიღებული გაუფასურება აღიარდა მოგება-ზარალში, ხოლო გადაფასების ნამეტით გაიზარდა კაპიტალი (სხვა რეზერვები და დაფინანსება).

5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები ძირითადად მოიცავს ნედლეულს და მასალებს, სათანადო ნაწილებს. ნედლეული და მასალები ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა პროექტებში, რომელთა ჩამოწერა დამოკიდებულია ამ პროექტთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარებასთან.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-17	31-დეკ-18
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	629, 850	590, 661
წინასწარ გაწეული ხარჯები	1, 260	87, 662
მისაღები პროცენტები	41, 692	—
სულ :	672, 802	678, 283

სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს სხვადასხვა კონტრაქტებიდან მისაღებ თანხებს.

წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს საოფისე ფართის შეძენისათვის ავანსად გადახდილ თანხებს. ფართის შეძება მოხდა 2019 წლის სექტემბერში.

მისაღები პროცენტი წარმოშობილია 2015-2016 წლებში გაცემული სესხებიდან, რომელთა დაფარვაც მოხდა 2018 წლის იანვარში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა დებიტორული დავალიანების შეფასება გაუფასურებაზე და დარწმუნებულია, რომ დებიტორული დავალიანება ანაზღაურებადია, შესაბამისად გაუფასურების ზარალის თანხები არ არის წარმოდგენილი.

7 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.

	31-დეკ-2017	31-დეკ-2018
ფულადი სახსრები სალაროში	4, 811	3, 692
ფულადი სახსრები ბანკში	316,118	32, 049
სულ :	320, 929	35,741

8 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები მოიცავს, მიმდინარე საოპერაციო პერიოდში კრედიტორული დავალიანებების ჯამს, რომელთა დაფარვაც ხდება უახლოესი თორმეტი თვის განმავლობაში. 2018 წლის დეკემბერში მოხდა „ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს“-ის საქართველოს წარმომადგენლობისგან ორი ერთეული უახლოესი სპეც ტექნიკის შეძენა განვადებით, რომელმაც გამოიწვია მიმდინარე კრედიტორული დავალიანების ზრდა.

9 შემოსავალი.

შემოსავალი ძირითადად იყოფა ორ კატეგორიად:

- სამშენებლო მანქანა-დანადგარების იჯარა.
- შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან.

10 სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავალი მოიცავს მანქანა-დანადგარების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას დამატებული პერიოდის განმავლობაში საკურსო სხვაობით მიღებული მოგება.

11 თვითღირებულება.

	2018 წელი	2017 წელი
ცალკეული პროექტებისათვის განკუთვნილი ნედლეული და მასალები	383, 022	84, 913
საწვავის ხარჯი	475, 988	493, 220
შრომის ანაზღაურება	679, 568	359, 622
მიმდინარე რემონტი	210, 464	206, 997
იჯარის ხარჯი	110, 110	165, 478
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	658, 018	418, 452
მოვლა-შენახვის ხარჯი	10, 944	30, 474
სულ თვითღირებულება	2, 528, 114	1, 759, 156

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018 წელი	2017 წელი
შრომის ანაზღაურება	213, 300	166, 131
ჯარიმები და სანქციები	1, 286	590
ცვეთა და ამორტიზაცია	3, 657	1, 209
პროფესიული მომსახურება	22, 264	14, 575
რეკლამის ხარჯი	15, 722	6, 476
იჯარის ხარჯი	7, 486	778
საბანკო ხარჯები	2, 437	2, 559
საოფისე და კომუნალური ხარჯები	6, 899	2, 544
საგადასახადო ხარჯები	35, 534	16, 298
მოვლა-შენახვის ხარჯები	10, 954	9, 848
მივლინების ხარჯი	10, 446	3, 376
სხვა ხარჯები	13, 404	7, 620
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	343 389	232 004

შ.პ.ს „ჯეოინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

13 ფინანსური ხარჯები.	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	72, 277	39, 965
სავალუტო კურსის ცვლილებიდან მიღებული ზარალი	26, 294	11, 144
სულ ფინანსური ხარჯი:	98, 571	51,109

14 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.

2019 წელს (ექვსი თვის განმავლობაში) არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც გამოიწვევდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ცვლილებას.

შ.პ.ს ჯეოინვესტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ციფრები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	31-დეკ- 2018	31-დეკ- 2017	31-დეკ- 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	5, 790, 304	2, 422, 624	1, 517, 480
არამატერიალური აქტივები		3, 381	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5, 793, 685	2, 422, 624	1, 517, 480
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	147, 284	31, 678	2, 533
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	678, 283	672, 802	494, 194
გაცემული სესხები		-	-	31, 000
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი	7	35, 741	320, 929	5, 340
სულ მიმდინარე აქტივები		861, 308	1, 025, 409	533, 067
სულ აქტივები		6, 654, 993	3, 448, 033	2, 050, 547
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		5, 020, 818	3, 139, 902	1, 768, 891
რეზერვები		329, 673	-	-
სულ კაპიტალი		5, 350, 491	3, 139, 902	1, 768, 891
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები		-	-	-
ფინანსური იჯარა		320, 748	117, 772	115, 883
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		320, 748	117, 772	115, 883
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები		20, 000	-	8, 600
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	8	927, 784	56, 552	86, 801
ფინანსური იჯარის მიმდინარე წილი		160, 374	58, 886	57, 941
საგადასახდო ვალდებულებები		-124, 404	74, 921	12, 431
სულ მიმდინარე ვალდებულებები		983, 754	190, 359	165, 773
სულ ვალდებულებები		1, 304, 502	308, 131	281, 656
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6, 654, 993	3, 448, 033	2, 050, 547

შ.პ.ს ჯეოინვესტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
შემოსავალი	9	4, 679, 556	3, 522, 751
თვითღირებულება	11	-2, 528, 114	-1, 759, 156
საერთო მოგება		2, 151, 442	1, 763, 595
სხვა შემოსავალი	10	171, 434	67, 041
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	-343, 389	-232, 004
ფინანსურ ხარჯი	13	-98, 571	-51, 109
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-81, 307	-
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		1, 880, 916	1, 547, 523
მოგების გადასახადი		-	-19 881
წლის მოგება		1, 880, 916	1, 527, 642
სხვა სრული შემოსავალი		329, 673	
წლის სრული მოგება		2, 210, 589	1, 527, 642

შ.პ.ს ჯეოინვესტი**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

ციფრები მოცემულია ლარში

	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	-	1, 768, 891	1, 768, 891
წლის მოგება		1, 527, 642	1, 527, 642
სხვა სრული შემოსავალი		1, 527, 642	1, 527, 642
კაპიტალის ზრდა	-	-	-
დივიდენდი		-156, 631	-156, 631
2017 წლის 31 დეკემბერი	-	3, 139, 902	3, 139, 902
წლის მოგება		1, 880, 916	1, 880, 916
რეზერვები და დაფინანსება		329, 673	329, 673
სულ სრული შემოსავალი	-	2, 210, 589	2, 210, 589
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-		-
დივიდენდი		-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	2, 210, 589	5, 350, 491

შ.პ.ს

ჯეოინვესტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ციფრები მოცემულია ლარში

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	167, 610	780, 749
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-380, 521	-425, 195
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-72, 277	-39, 965
წმინდა ზრდა/კლება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	-285, 188	315, 589
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	-	-
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში	320, 929	5, 340
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოს	35, 741	320, 929

შ.პ.ს „ჯეოინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ჯეოინვესტი“ (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 15 მარტს და ფუნქციონირებს საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საიდენტიფიკაციო ნომრით: 401968466. კომპანია დაფუძნებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის დამფუძნელი არის ბატონი გიორგი კუხალაშვილი (100% წილის მფლობელი), რომელიც ასევე ჩართულია კომპანიის მართვაში.

საქმიანობის სფერო: კომპანია დაარსების დღიდან ეწევა საგზაო და სამშენებლო სპეც ტექნიკის იჯარას, მომსახურებას. ნებისმიერი სირთულის მიწისა და კლდის გრუნტის დამუშავებას, ექსკავაციას. კომპანია 2017 წლიდან აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, მშენებლობის პროექტებში.

2018 წლის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 80 თანამშრომელს.

კომპანიის ფაქტიურ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ბელიაშვილის 142.

2. მომზადების საფუძველი.

შპს „ჯეოინვესტის“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების, საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულებების მეთოდის გამოყენებით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით.

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, გამოყენება. აღნიშნული მოთხოვნების თანახმად კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში უნდა მოახდინოს მათი სწორი შეფასება. ქვემოთ მოყვანილ შენიშვნებში მოცემულია ის სფეროები, რომლებიც შედარებით მაღალი ხარისხის სირთულით და გადაწყვეტილებებით ხასიათდებიან, რომლებშიც გაკეთებული დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება ლარში, ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯი.

2018 წლის 31 დეკემბერს, უცხოური ვალუტის ბალანსის გადასაყვანად დადგენილი კურსი შეადგენდა: 1 აშშ დოლარი = 2,6689 ლარი. 1 ევრო = 3,0701 ლარი .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი შედგება ნაღდი ფულისაგან, მოთხოვნამდე დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებისაგან, დაფარვის სამთვლიანი ან ნაკლები პირველადი თარიღით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო დებიტორული ვალდებულებების აღიარება ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოდგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ლარი),

საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, თვითღირებულებას დამატებული აქტივის ოპერირებისათვის საჭირო ადგილამდე და სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯები. ძირითადი საშუალებების ძირითადი მაკომპლექტებელი ნაწილების შეცვლის ხარჯის აღრიცხვა ხდება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში ჩართვით, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს. ხოლო შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღრიცხვა წყდება. აქტივების მიმდინარე რემონტის და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით, შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა :

- | | |
|---|-----------|
| • სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები | 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 3-10 წელი |
| • საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი | 3-5 წელი |

აქტივის ნარჩენი ღირებულება შეფასებულია თანხით, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი უკვე იქნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის მოსალოდნელ ასაკსა და მდგომარეობაში. აქტივების ღირებულება, ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადები

გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო სხვაობა აღიარდება მოგება ზარალში თუ არ არსებობს ამ აქტივის შედეგად წარმოქმნილი გადაფასების რეზერვი.

არამატერიალური აქტივები.

არამატერიალური აქტივები ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება.

იჯარა.

იჯარა - ფინანსური იჯარა კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. იჯარით მიღებული აქტივის კაპიტალიზება ხდება ძირითად საშუალებებში იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და ფასდება იჯარით მიღებული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მიმდინარე მინიმალური საიჯარო ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები გარდა სამომავლო ფინანსური ვალდებულებისა შედის შესაბამის გრძელვადიან და მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებში. იჯარის მოქმედების პერიოდში, პროცენტის დაფარვაზე გაწეული ხარჯების ასახვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში როდესაც გარიგების შედეგად მიიღება საოპერაციო იჯარა და გარიგება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, დაუყოვნებლივ ხდება ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღრიცხვა აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა-აქტივის იჯარა, რომელთა მიმართებაში მფლობელობის რისკები და სარგებელი მეიჯარის ხელშია კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღრიცხვა მოგებაში ან ზარალში ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხები.

სესხის საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, გარიგებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება მსგავსი ინსტრუმენტისათვის არსებული მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საწყისი აღიარების თანხასა და მოგება ზარალის ანგარიშგებაში პროცენტის დასაფარად აღიარებულ თანხას შორის ნებისმიერი განსხვავებით. სესხი კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი სავაჭრო მოგების, ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ამავე დროს მომხმარებელი იღებს მათ საკუთარ თავზე.

სამშენებლო კონტრაქტებით მიღებული შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ოპერაციის დასრულების ეტაპისათვის მისი საიმედო შეფასება. შემოსავლები აღიარებულია საანგარიშებო პერიოდში, რომლის დროსაც მომსახურების გაწევა ხდება პროცენტული შესრულების მაჩვენებლის შესაბამისად. კონტრაქტით მიღებული მოგება და კონტრაქტით გაწეული ხარჯები აღიარებულია, როგორც მოგება და ხარჯი კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის დასრულების ეტაპზე, საანგარიშო თარიღისათვის, როდესაც შესაძლებელია კონტრაქტის შედეგის საიმედო განსაზღვრა. საანგარიშო თარიღამდე გაწეული ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კონტრაქტით გათვალისწინებულ სამომავლო საქმიანობასთან, შესრულების ეტაპის განსაზღვრისას. ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია გარიგებით ან კონტრაქტით გათვალისწინებულ სამომავლო საქმიანობასთან წარმოდგენილია, როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ავანსი ან სხვა აქტივები, გამომდინარე მათი ბუნებიდან.

ანარიცხები.

ანარიცხების აღრიცხვა ხდება, მაშინ როდესაც კომპანიას წარსული სამეურნეო ოპერაციების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული ან სამშენებლო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება, ვალდებულების დასაფარად. ასევე შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხები განისაზღვრება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის ოდენობით.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე და შეადგენს ნულ ლარს.

სახელფასო ხარჯები და სხვა შენატანები.

ხელფასები, საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება, ბონუსები და სხვა შეღავათები დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლების მიერ მოხდა შესაბამისი მომსახურების გაწევა.

საგადასახადო ვალდებულებები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების დივიდენდის სახით განაწილება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგებიდან განაწილებული დივიდენდები ექვემდებარება გაერთიანებული მოგების გადასახადს, რომელიც შემცირდება გადახდილი მოგების გადასახადის წილის სახით დაანგარიშებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომლის დეკლარირება და გადახდა მოხდა დასაბეგრ მოგებაზე და იმავე პერიოდში გადასანაწილებელ დივიდენდებზე გამრავლებულ საერთო წმინდა მოგებაზე. ამავე დროს საგადასახადო კრედიტის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოდ დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდების განაწილების შედეგად დაკისრებული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც დივიდენდების დეკლარირების პერიოდში მოგების გადასახადზე გაწეული ხარჯები. ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან შესაძლებელია დივიდენდების გადახდის პერიოდის მიხედვით. გამომდინარე აქედან კომპანიამ შეწყვიტა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება. შესაბამისი მოქმედებები აღრიცხა 2016 წლის მოგება-ზარალის ნგარიშგებაში.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ დივიდენდის გამოცხადებაზე არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე კვლავ იბეგრება არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები და სხვა გადახდები, საქონლის და მომსახურების უფასო მიწოდება, წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება სსკ კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობას.

დივიდენდის განაწილება.

კომპანიის მფლობელისთვის დივიდენდის განაწილება კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში აღირიცხება, როგორც ვალდებულება კომპანიის მფლობელის მიერ დივიდენდების დამტკიცების პერიოდისთვის. ამ ეტაპზე დივიდენდის გადახდაზე კომპანიას რაიმე შეზღუდვა არ გააჩნია.

შ.პ.ს „ჯეოინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

4 ძირითადი საშუალებები.

	პერსონალური საიტი	სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ადრეზუილობა და ინვენტარი	სულ
თვითღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	1, 886, 128	19, 471	6, 852	1, 912, 451
შემოსვლა	-	1, 788, 838	22, 926	19, 660	1, 831, 424
გასვლა	-	-552, 076		-2, 540	-554, 616
თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3, 122, 890	42, 397	23, 972	3, 189, 259
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2017 წელი		389, 376	3, 793	1, 799	394, 968
წლიური ცვეთა		411, 377	5, 042	3, 244	419, 663
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		-45, 951	-	-2, 045	-47, 996
31 დეკემბერი 2017 წელი	-	754, 802	8, 835	2, 998	766, 635
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2017 წელი	-	2, 368, 088	33, 562	20, 974	2, 422, 624
თვითღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	3, 122, 890	42, 397	23, 972	3, 189, 259
შემოსვლა	3, 550	4, 551, 378	139, 176	39, 808	4, 730, 362
გასვლა	-	-995, 065	-	-	-995, 065
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3, 550	6, 679, 203	181, 573	63, 780	6, 924, 556
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2018 წელი	-	754, 802	8, 835	2, 998	766, 635
წლიური ცვეთა	169	638, 700	12, 008	10, 798	661, 506
გაუფასურება	-	108, 554	-	-	108, 554
გადაფასების ნამეტი	-	-329, 673	-	-	-329, 673
გასული აქტივები დაგროვილი ცვეთა	-	-76, 151	-	-	-76, 151
31 დეკემბერი 2018 წელი	169	1, 096, 232	20, 843	13, 796	1, 130, 871
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 წელი	3, 381	5, 582, 971	160, 730	49, 984	5, 793, 685

2018 წლის დასაწყისიდან კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივ ბაზარზე შეესყიდა უახლესი ტექნიკა (სამშენებლო მანქანა-დანადგარები) საქართველოში რეგისტრირებული ტექნიკის მიმწოდებლებისგან. შესყიდული ტექნიკის ნაწილი დაფინანსდა სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგ“-თან გაფორმებული ფინანსური იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე მოხდა მეორადი და ამორტიზებული სამშენებლო მანქანა-დანადგარების გაყიდვა. 2018 წელს კომპანიამ გადააფასა სამშენებლო მანქანა-დანადგარების ჯგუფი, მიღებული გაუფასურება აღიარდა მოგება-ზარალში, ხოლო გადაფასების ნამეტით გაიზარდა კაპიტალი (სხვა რეზერვები და დაფინანსება).

5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები ძირითადად მოიცავს ნედლეულს და მასალებს, სათადარიგო ნაწილებს. ნედლეული და მასალები ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა პროექტებში, რომელთა ჩამოწერა დამოკიდებულია ამ პროექტთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარებასთან.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-17	31-დეკ-18
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	629, 850	590, 661
წინასწარ გაწეული ხარჯები	1, 260	87, 662
მისაღები პროცენტები	41, 692	—
სულ :	672, 802	678, 283

სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს სხვადასხვა კონტრაქტებიდან მისაღებ თანხებს.

წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს საოფისე ფართის შეძენისათვის ავანსად გადახდილ თანხებს. ფართის შეძენა მოხდა 2019 წლის სექტემბერში.

მისაღები პროცენტი წარმოშობილია 2015-2016 წლებში გაცემული სესხებიდან, რომელთა დაფარვაც მოხდა 2018 წლის იანვარში.

თითოეული საანგარიშო თარიღისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა დებიტორული დავალიანების შეფასება გაუფასურებაზე და დარწმუნებულია, რომ დებიტორული დავალიანება ანაზღაურებადია, შესაბამისად გაუფასურების ზარალის თანხები არ არის წარმოდგენილი.

7 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.

	31-დეკ-2017	31-დეკ-2018
ფულადი სახსრები სალაროში	4, 811	3, 692
ფულადი სახსრები ბანკში	316,118	32, 049
სულ :	320, 929	35,741

8 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები მოიცავს, მიმდინარე საოპერაციო პერიოდში კრედიტორული დავალიანებების ჯამს, რომელთა დაფარვაც ხდება უახლოესი თორმეტი თვის განმავლობაში. 2018 წლის დეკემბერში მოხდა „ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს“-ის საქართველოს წარმომადგენლობისგან ორი ერთეული უახლოესი სპეც ტექნიკის შეძენა განვადებით, რომელმაც გამოიწვია მიმდინარე კრედიტორული დავალიანების ზრდა.

9 შემოსავალი.

შემოსავალი ძირითადად იყოფა ორ კატეგორიად:

- სამშენებლო მანქანა-დანადგარების იჯარა.
- შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან.

10 სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავალი მოიცავს მანქანა-დანადგარების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას დამატებული პერიოდის განმავლობაში საკურსო სხვაობით მიღებული მოგება.

11 თვითღირებულება.

	2018 წელი	2017 წელი
ცალკეული პროექტებისათვის განკუთვნილი ნედლეული და მასალები	383, 022	84, 913
საწვავის ხარჯი	475, 988	493, 220
შრომის ანაზღაურება	679, 568	359, 622
მიმდინარე რემონტი	210, 464	206, 997
იჯარის ხარჯი	110, 110	165, 478
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	658, 018	418, 452
მოვლა-შენახვის ხარჯი	10, 944	30, 474
სულ თვითღირებულება	2, 528, 114	1, 759, 156

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018 წელი	2017 წელი
შრომის ანაზღაურება	213, 300	166, 131
ჯარიმები და სანქციები	1, 286	590
ცვეთა და ამორტიზაცია	3, 657	1, 209
პროფესიული მომსახურება	22, 264	14, 575
რეკლამის ხარჯი	15, 722	6, 476
იჯარის ხარჯი	7, 486	778
საბანკო ხარჯები	2, 437	2, 559
საოფისე და კომუნალური ხარჯები	6, 899	2, 544
საგადასახადო ხარჯები	35, 534	16, 298
მოვლა-შენახვის ხარჯები	10, 954	9, 848
მივლინების ხარჯი	10, 446	3, 376
სხვა ხარჯები	13, 404	7, 620
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	343 389	232 004

შ.პ.ს „ჯეოინვესტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

13 ფინანსური ხარჯები.	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	72, 277	39, 965
სავალუტო კურსის ცვლილებიდან მიღებული ზარალი	26, 294	11, 144
სულ ფინანსური ხარჯი:	98, 571	51,109

14 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.

2019 წელს (ექვსი თვის განმავლობაში) არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც გამოიწვევდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ცვლილებას.